ყოველდღიური გაზეთი · ფასი 7 კაპ. · შაბათი, 3 ენკენისთვე 1916 წ. · № 196

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] კნელზე—10 კ., [illegible] ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

ყოველდღიური გაზეთი **საქართველო** ყოველდღიური გაზეთი

**ხელის მოწერის ფასი:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პროვინციაში:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

## სასცენო სტუდია ს. ნ. ვორონოვისა
## ქართულსა და რუსულს ენაზე

| | | |
|---|---|---|
| I განყოფილება | — | დიქცია და დეკლამაცია. |
| II „ | — | პლასტიკა და გიმნასტიკა. |
| III „ | — | თეატრის ისტორია. |
| IV „ | — | ესტეტიკა. |
| V „ | — | პრაქტიკული მეცადინეობა. |

ცნობების მიღება შეიძლება ოთხშაბათ-კვირაობით, საღამოს 6—7 ს. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. ტელეფონი 8—43.
(თ.—230—7)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
## კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
**სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.**
**ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია**

ყოველ დღე მზადდება
საუზმე · ჩაი
სადილები · ყავა
ვახშმები · ხაჭაპური · პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვა ნელობით.
პატივისცემით **ხიდ. ხ. გიგიბერია.**

## ახალი მელანი
## კოტე ონიკაშვილისა
**მელანი ასლის ასაღებადაც („კოპიროვკისთვის“) კარგია**
**დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში**
ვინც 20 მანეთზე მეტს გამოიწერს ფლაკონით ეღირება 1 მ. 20 კაპ.
ფუთი უბრალო შუშით 40 მან.
**სანიმუშო მელანი ფას დადებით გაეგზავნებათ.**
**✦ მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს ✦**
**მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.**

ღვინის საწყობი
## ნიკო გ. სესიაშვილისა
✦ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ✦
## კახური ღვინო
**განოვის ქუჩა № 4.**
—— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ——
(185—წ.)

საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
## ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
**ჩულქეულობა, კოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**
(101—წ.)

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
**ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასზ**
## საკუთარი ტყიდან
**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კიხრულობს შინ მიტანასაც**
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

## ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 131. საზაფხულო შენობა)
შაბათს, 3 ენკენისთვეს
## სინემატოგრაფი
ბაღში დაუკრავს **სამხედრო ორკესტრი**
**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**
სტუმრები შედიან საზოგადო წესით.
(1—241—1)

ექიმი
## მ. ი. ვაჩნაძე
**იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს** მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის** 15-დან **იღებს მანგლისში** კორპუსის ბანაკში

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის** პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
**✦პროვიზორის ახვლედიანისა✦**

**დ. ზესტაფონში**
## ექიმი
## დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

## იყიდება
**განკერძოებით მდგომი რვა ოთახიანი სახლი** (ე. ი. 6 და 2 ცალ-ცალკე) **მოწყობილობით. ფასადი ორ ქუჩაზე გადის.** სახლი საუკეთესო ადგილს სდგას, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიის მახლობლად. აქვს ბანკის ვალი.
**ავლაბარი.** მარტყოფის ქ. **№ 37** და ხოჯივანის ქ. **№ 31.**
(2—316—2)

**უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა**
ექიმი
## ა. დ. შაჰაზიზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი-დოსტაქარი
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

თბილისი, 3 ენკენისთვე.

## ილია ნაკაშიძის ლექციის გამო

„მეგობრის“ 146 №-ში დაბეჭდილია ბ-ნ ი. კეიდიას კორესპონდენცია ერთი იმ გვარი ლექციის გამო, რომელიც ნამდვილი აპოლოგიაა ეროვნული სულის დარღვევისა და ეროვნული აყრაამბარგებისა მამა-პაპეული სამკვიდრებელიდან და რომელიც ერთ იმგვარ კაცთაგანს ეკუთვნის, რომელნიც სხეულის საერთო დამბლის გამო ვერ არჩევენ თუ რომელი ნაწილია მტკივანი, თუ სად არის მათი მარჯვენა და სად მარცხენა. როგორც მიზანს და თემას შეეფერება ეს ფენომენები ლექციასაც „ინტერნაციონალურ“ რუსულ ენაზედ კითხულობენ. მოგვყავს კორესპონდენცია ცოტაოდენის შემოკლებით:

„ამ დღეებში ჩვენ აქ სოხუმში გვეწვია ბ. ილია ნაკაშიძე, რომელმაც ხუთმეტ ამ თვეს წაიკითხა ლექცია რუსულად შემდეგ თემაზე: „ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი“. მე, რასაკვირველია, არ ვკისრულობ, და არც შემიძლია, ბ-ნ ილია ნაკაშიძის მსოფლმხედველობის დარღვევა საერთოდ, მაგრამ კერძოდ ამ ლექციის უადგილობა, უსაბუთობა და მავნებლობაც კი, მით უმეტეს სოხუმში, თამამად შემიძლია ვაღვიარო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ხსენებულ ლექციას ბ. ილია ნაკაშიძე ვერ წაიკითხავდა იქ, სადაც ქართული სული ჩამოყალიბებულია, იქ, სადაც ერი ეროვნობს და ძლიერიცაა; იქ არც მისცემდენ მას უფლებას გამოსულიყო ასეთ აზრის ალმსარებლათ და გაეთელა ჩვენი წმინდათა-წმინდა; მაგრამ აქ, სოხუმში, სადაც დროთა ვითარების გამო და ბედის ჩარხის უკუღმა ტრიალმა ასე დასცა ქართული სული, ბ. ილია ნაკაშიძემ ინტენაციონალიზმის გასამართლებლად საჭიროდ დაინახა ნაციონალური მიმდინარეობა მიწასთან გაესწორებია და მისი მატარებელი ადამიანი კაცობრიობის მტრად გამოეცხადებია. ნაციონალიზმი მან დაულეველ სისხლის გამომწვევ მოვლენად აღიარა, რომელმაც ჯერ-ჯერობით 17 მილიონი სიცოცხლე იმსხვერპლაო.

ეს ფართო და რთული თემა, განსაკუთრებით დღევანდელ დროში, მან ქართველების სათარეშოდ გამოიყენა და მხოლოდ ისა სთქვა, რომ იგინი კაცი-ჭამია ხალხიაო. პირდაპირ ალმაშფოთებელი იყო ბ. ილია ნაკაშიძის ლექციის მეორე ნახევარი, სადაც იგი შეეხო ქართველ-სომეხთა დამოკიდებულებას და სადაც მან ქართველები მონათლა ვიწრო ნაციონალისტურ შოვინიზმის მატარებლად. თუ ლექტორი იყო მოწადინებული, რომ ქართველ-სომეხთა გამწვავებულ დამოკიდებულებისთვის დაედვა სათანადო მალამო, ის უნდა შეხებოდა ამ საკითხს ყოველის მხრივ, როგორც ერთის, ისე მეორე ერის თვალსაზრისით გაეშუქებია იგი და არა ქართველებში ეძია მხოლოდ მიზეზი ბოროტებისა. ასეთ გამწვავებულ მდგომარეობის მიზეზად მხოლოდ და მხოლოდ ქართველი გამოიყვანა მაშინ, როდესაც სომხების წინააღმდეგ კრინტიც არ დაუძრავს, პირიქით წმინდა ანგელოზებად დაგვისურათა. ასე რომ დამსწრე სომხებში ლექციამ მოახდინა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მათი სისხლის მსმელი ქართველები ყოფილა და იმის მაგიერ, რომ სათნოება და სიყვარული ეთესა, მან უფრო გაამწვავა დამოკიდებულება.

ლექტორმა სთქვა, რომ, როდესაც ჩვენ სომხებს „пришелецъ“-ებს უწოდებთ, ამით მათ ულმობელ შეურაცყოფას ვაყენებთო; ჩვენ, რომ რამოდენიმე ხნით უფრო ადრე ვართ მოსული ვიდრე სომხებიო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვიყოთ „მკვიდრნი“ საქართველოსიო; ვერც ერთი ისტორიკოსი და ვერც ერთი სოციოლოგი ვერ გვეტყვის, რომ ქართველებს ვინმე არ ჰყავდეს არეკილი აქედან და თვითონ არ იყოს დამკვიდრებული სხვის მიწა-წყალზეო,—ბრძანა ბ. ილია ნაკაშიძემ. მე მგონია, რომ ბევრი ძებნა არ დასჭირდებოდა ბ. ლექტორს უბრალო ისტორიულ წიგნებში, რომ აღედგინა მას ქართველების უფლება მის ტერიტორიაზე, თუ იგი უბრალო სამართლიანობას აღიარებდა და მიანიჭებდა ადამიანს იმას, რაზედაც მას ულწვია, ოფლი ულვრია და სისხლი უნთხევია. მაგრამ ეს მან არ ინება და ამ უტიფრად მოგლეჯამ ჩვენი დედის მკერდიდან, იმ მიწა-წყლიდან, რომელიც რამოდენიმე ათას წლის განმავლობაში ირწყოდა და იკირწყლებოდა ჩვენ წინაპართა სისხლითა და ძვლებით, გამოიწვია აღშფოთება იმ საზოგადოებაში, რომლისათვის ძვირფასია სამშობლო და რომლის გული ატოკებულა მშობლიური ავკარგიანობით.

ბოლოს ლექტორი გამოგვეთხოვა იმ იმედით, რომ ქართველები უკუაგდებენ ამ კაცთ-ჭამია პოლიტიკას და დაადგებიან ჭეშმარიტ გზას. მე კი ვიტყვი, რომ ჩვენ ღმერთმა გვაშოროს ასეთი მასწავლებლები, რომელნიც აგინებენ იმ წმიდათა-წ[illegible] დას, რომელსაც ქართველი [illegible] ვის არაფრისთვის არ დაუსად[illegible] მისდეთარცა საუნჯეს თავის [illegible] მეხილეობას ხორცისას. [illegible] დარგი ელ[illegible] რდებოდა და [illegible] ა და მასთან [illegible] აც.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

მთავარ ყურადღებას დღეს დღეობით მხოლოდ ორი ბრძოლის ასპარეზი იპყრობს: დასავლეთით მდინარე სომმაზე გაჩაღებული შეტაკებები და რუმინეთის სამხრეთ საზღვრებზე, უფრო კი მდინარე დუნაიზე დაწყებული ბრძოლა. საინტერესოა უფრო უკანასკნელ ასპარეზზე, რადგან ამასთან ერთად დაკავშირებულია, როგორც მთელი ბალკანეთის საკითხი, აგრეთვე გალიციის ბედ-იღბალი. თუ ერთი მხრივ რუმინეთის გამოსვლა დიდათ ხელსაყრელი იყო რუსეთისათვის, რადგან მას საშუალება მიეცა პირდაპირ აქტიური ოპერაცია ეწარმოებინა ბულგარეთის წინააღმდეგ, მეორე მხრივ არც გერმანეთისთვის არის სავსებით უმნიშვნელო ეს ახალი მოპირდაპირის ახმაურება და ომში ჩარევა, თუ კი ბედი იმდენად გაუღიმებს, რომ გამარჯვება მას დარჩება: რუმინეთის დაკავებით ჯერ ერთი უშველებელ სიგრძის ბრძოლის ხაზი ძალიან შესამჩნევლად შემცირდება, გარდა ამისა მდ. დუნაი მათ განკარგულებაში გადავა და შესამჩნევლად გამოიყენებენ. მთელი გერმანეთი და ავსტრია-უნგრეთი შავი ზღვას დაუკაშირდება; სხვა და სხვა სამხედრო თუ საზღვაო მასალას ამ მდინარით გადმოიტანენ და მოპირდაპირესაც საგრძნობლად შეაწუხებენ ზღვაზე. ვიმეორებთ, ეს მაშინ, თუ გერმანეთი რუმინეთის მიწა-წყალს დაეპატრონება. ადრევე ჩვენ შევეცადენით, რუმინეთის გამოსვლა გაგვეთვალისწინებინა და დაგვენახვებინა მკითხველისათვის, თუ რა პოზიცას დაიკავებს გერმანეთი, ან და უფრო სად დაიწყებდა მთავარ შეტევას მის არა ხელსაყრელად დამყარებულ მდგომარეობის გამოსაკეთებლად ცხადი იყო, გერმანეთი აუცილებლივ ბალკანეთზე გადმოიტანდა მოქმედებას და მთელის თავის უნარით და ძალით განიზრახავდა ბალკანეთის საკითხის ხელსაყრელად დაგვირგვინებას. გამოსარკვევი იყო უფრო ის, თუ რომელ მხრიდან დაიწყება რუმინეთის წინააღმდეგ გალაშქრება—სამხრეთით თუ ჩრდილოეთით? ბევრი სამხედრო მიმომხილველი იმ აზრს დაადგა, რომ გერმანეთის ჯარი ავსტრიელებთან ერთად ჩრდილოეთით, სემიგრადიიდან შეუტევდა რუმინელებსო. ასეთ შეხედულებას იმაზე ამყარებდენ, ვითომ რუსეთის და რუმინეთის ჯარი ტრანსილვანიაში შეიჭრება და პირდაპირ გზას გაიკვლევს უნგრეთისაკენ.

ჩვენ ადრევე სულ წინააღმდეგი მოსაზრება გამოვსთქვით. არ დავეთანხმეთ ასეთ წინასწარმეტყველობას უფრო იმიტომ, რომ შეუძლებლად მიგვაჩნდა მით უფრო ახლა ტრანსილვანიაში სულ მცირე ოპერაციის წარმოება. სამაგიეროთ დიდ ყურადღებას ვაქცევდით რუმინეთის სამხრეთ ასპარეზს. დარწმუნებული ვამბობდით, რომ გერმანელები და ბულგარელები უსათუოდ აქედან დაიწყებენ შეტევას, შეეცდებიან მდ. დუნაის გადალახვას და ბუქარესტით გზის მოჭრას მთელ იმ რუმინეთის ჯარისა, რომელიც ახლა დაბანაკებულია სამოქმედოთ პატარა ვალახიაში. ტურტუკაის აღების შემდეგ ჩვენ ისიც ვსთქვით, რომ გერმანელების და ბულგარელების ჯარი დასავლეთით მდ. დუნაის ნაპირებს გაჰყვება და ოპერაციებს გააფართოებსო. გუშინდელი ოფიციალი დეპეშა რუმინეთის სამხედრო შტაბიდან თითქმის სავსებით ამართლებს ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრს. „სილისტრიის მიდამოებში, მდ. დუნაის მარჯვენა ნაპირზე, გაჩაღებული ბრძოლა სწარმოებსო“, ამბობს დეპეშა. ცხადია ტურტუკაის აღების შემდეგ ბულგარელები და გერმანელები სილისტრიაში შეჭრილან. საზოგადოდ რუმინეთის მთავარი შტაბი ძალიან ძუნწობს ცნობების მოწოდებაში. აგერ უკვე რამდენიმე კვირაა გვესმის, რომ სამხრეთ ბრძოლის ხაზით შეტაკებები დაიწყო და დღესაც კი არ ვიცით, რომელ ალაგებში ხდება ეს შეტაკებები. ჩვენ არც ის ვიცოდით, რომ ნავთსადგური ბალჩიკი ბულგარელებს დაუჭერიათ; ეს ცნობა მხოლოდ რუსეთის მთავარ შტაბმა გვამცნო. არც გუშინდელ ცნობაშია გარკვეულად ნათქვამი, სახელდობრ, რომელ ალაგას სწარმოებს ბრძოლა. სილისტრია მთელი მხარეა რუმინეთისა, ასე რომ დანამდვილებით და გარკვეულად ბრძოლის ხაზის წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელია.

რა ხდება დობრუჯაში, არც ის ვიცით. ერთხანად იყო ცნობა, რომ რუმინელებმა და რუსებმა ბულგარელებს უკან დაახევინესო. რა მოხდა შემდეგ, ჯერ-ჯერობით არ ვიცით.

დასავლეთის ბრძოლის ველზე ინგლისელები და ფრანგები წინსვლას განაგრძობენ.

X.

## ომის დეპეშები

### უმაღლესი მთავარსარდლის შტაბიდან

**პეტროგრადი**, 1 ენკენისთვე. ოფიციალური. დასავლეთის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

**კავკასიის ასპარეზი.** [illegible]

**მაკედონიის ასპარეზი.** სილისტრიის მიდამოებში, დუნაის მარჯვენა ნაპირზე ბრძოლაა. რუმინელებმა ბულგარელთ-გერმანელების იერიშები მოიგერიეს; ამასთანავე რვა მსუბუქი ზარბაზანი წაართვეს.

—

**ჰავრი.** ბელგიის ოფიციალი ცნობა. დიკსმიუდეს მიდამოებში სტეენსტრატეს მიმართულებით საარტილერიო ბრძოლაა. შუადღის შემდეგ კვლავ მკაცრი საარტილერიო ბრძოლა გაჩაღდა.

**პარიზი.** 1 ენკენისთვე. ოფიციალი. მდ. სომის ჩრდილოეთით ჩვენ გავაფართოვეთ ბრძოლის ასპარეზი და იერიშით პრიეზის ფერმის სამხრეთით მტრის გამაგრებული თხრილები ავიღეთ. მთელი დღის განმავლობაში მკაცრი ბრძოლა იყო, გერმანელები შეეცადნენ დაკარგულ ადგილების დაბრუნებას. ბულაბეს ფერმაზე გერმანელთა ორმა პოლკმა იერიში მიიტანა და დაიპყრო, შემდეგ უკან დავიბრუნეთ. მაასის მარჯვენა ნაპირზე მკაცრი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, გერმანელებმა ფლერის აღმოსავლეთით იერიში მიიტანეს, მაგრამ მტერი უკუ ვაგდეთ.

**პარიზი**, 1 ენკენისთვე. სომის ჩრდილოეთით ღამის განმავლობაში გერმანელთა რამდენიმე იერიში მოვიგერიეთ „76“ კორტოხის სამხრეთ ნაწილზე. ახალი ცნობის მიხედვით, გუშინ ახალი დივიზიის საშუალებით, რომელიც ვერდენის ასპარეზიდან გადმოიყვანეს გერმანელებმა კონტრ-იერიში მოიტანეს. სომის სამხრეთით მტერმა რამდენიმე უშედეგო იერიში მოიტანა. შონის დასავლეთით იერიშის დროს მტრის ერთი როტა ფრანგებმა სულ მოსპეს. მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელთა ორი იერიში ვო-შაპიტრის ტყესთან მოვიგერიეთ. სხვა ადგილებში სიწყნარეა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### საბერძნეთი.

[illegible] ნიკში მოვიდნენ ის აფიცრები, რომლებიც რევოლიუციონურ მოძრაობას მიემხრნენ. მათი სიტყვით, ათინის გარნიზონის აფიცერთა მოზეტებული ნაწილი ეროვნულ თავდაცვის პატრიოტულ პროგრამას თანაუგრძნობს.

სალონიკის რევოლიუციონერთა ბელადმა პოლკ. მაზარაკიმ მეფე კონსტანტინეს ღია წერილი გაუგზავნა, სადაც იგი მონარქს მაზე უთითებს, რომ ბულგარელთა მიერ დაპყრობილ ადგილები, დიდი ხანი არ არის რაც თვით მეფემ დაიბრუნა.

„ჩვენ შევძლებთ ერის სურვილის შესრულებას,—სწერს მაზარაკი,—გადავლახავთ ყველა დაბრკოლებებს და დავიხსნით მაკედონიას მტრის შესევისაგან.

### საბერძნეთის მდგომარეობა.

ინგლისის გაზეთების სპეციალი კორესპონდენტი სტევენსი, რომელიც ათინაში იმყოფება, დეპეშით იტყობინება, რომ ამ უკანასკნელ დღეებში საბერძნეთის კრიზისმა უკიდურესობამდე მიაღწია. გუნარისის მომხრენი დაუცხრომელ მუშაობას კვლავ განაგრძობენ. მათ მიზნათ დაუსახავთ აამხედრონ საბერძნეთის მცხოვრებნი გენ. სარაილის წინააღმდეგ, რომელიც მაკედონიის ასპარეზზე მოკავშირეთა ჯარების მთავარ სარდლად ითვლება. ამის გარდა, იმასაც ცდილობენ, როგორმე აამხედრონ ხალხი მოკავშირეთა აგენტების წინააღმდეგ, რომელთაც მინდობილი აქვთ იმ პირთა დაპატიმრება, რომელნიც გერმანეთის სასარგებლოთ აგიტაციას ეწევიან.

### ბულგარეთის ვერდენი.

დატყვევებულ ბულგარელ აფიცრებს აღმოაჩნდათ მასალა, სადაც გარკვევითაა ნაჩვენები გეგმა ბულგარეთის პირველ არმიისა, რომელიც მდ. მოგლენიცის და ფლორინის მიმართულებით მოქმედებდა. ამ არმიას დაკისრებული ჰქონია ოსტროვის ტბის დასავლეთ ნაპირების დაპყრობა. ბულგარელთა ჯარს მკაცრი შეტევით უნდოდათ განედევნათ ამ ადგილებიდან სერბები, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს.

ოსტროვოს ტბის დასავლეთით ბულგარელებმა 15,000 კაცი დაჰკარგეს. ამ გვარ დიდ დანაკლისის შემდეგ ბულგარელები იძულებულნი იყვნენ ათი დღით მოქმედება შეეჩერებინათ. ბულგარელები საჩქაროდ თხრილებს ამზადებენ. ბულგარელი ტყვეები გულახდილად ამბობენ, რომ ოსტროვო მათთვის მეორე ვერდენად გადაიქცა.

### გერმანეთი და შვეიცარია

ბერნის გერმანეთის ელჩმა რომბერგმა შვეიცარიის მთავრობას თხოვნით მიჰმართა, რათა მას ნება მიეცა შვეიცარიიდან გერმანეთში 100 კილოგრამი ბრინჯის გატანისა ვილჰელმისა და მის ოჯახის საჭიროებისათვის. ეს არაჩვეულებრივი თხოვნა გადაეცა იმ დაწესებულებას, რომელიც ამ გვარ საქმეებს განაგებს. განიხილეს რა ეს თხოვნა, დაადგინეს: უარი ეთქვას გერმანეთის ელჩს, რადგანაც თვით იმპერატორის გულისათვისაც კი შვეიცარია ვერ დაარღვევს მოკავშირეებთან ხელშეკრულებას.

როგორც აქედან სჩანს, გერმანეთის ბლოკადა უბრალო სიტყვას არ წარმოადგენს.

### დიდი ბრძოლა დობრუჯაში.

რომიდან მოსული ცნობით, დობრუჯაში, სამხრეთით ბუქარესტ-კონსტანცის რკინის გზიდან, მკაცრი ბრძოლა დაიწყო. ბულგარელებს დობრუჯაში რუმინელთა ჯარი იარაღით არ შეჰხვდა; მათ ბრძანება აასრულეს და სტრატეგიული მიზნით უკან დაიხიეს, რის შემდეგაც რუმინელები მტერს მკაცრად ეკვეთნენ.

### რუმინეთი.

ბუქარესტიდან იუწყებიან: ის ცნობა, ვითომც სატახტო ქალაქი გადააქვთ შუაგულ სახელმწიფოში, სიმართლეს მოკლებულია. ტურტუკაის დროებით დაკარგვამ ბუქარესტს შიში არ შეჰმატა, რაც იმით აიხსნება, რომ ამ ამბავს ხალხი მშვიდად შეჰხვდა.

გაზეთი „ინდეპან. რუმაინე“ სწერს: ტურტუკაის დაკარგვა ჩვენ ვერ შეგვაშინებს. რუმინელებმა უკან დაიხიეს, რადგანაც მტერი რიცხვით ძლიერი გამოდგა. ტურტუკაის დაკარგვა რუმინელებისათვის გაკვეთილად უნდა ჩაითვალოს, რომელსაც შემდეგ გამოვიყენებთ.

### ჰინდენბურგი დასავლეთ ასპარეზზე.

პარიზის „ლიბერტე“ იტყობინება: სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ჰინდენბურგი მაასზე შეეცადა კონტრ-იერიშის მიტანას, მაგრამ მაშველმა ჯარმაც ვერ უშველა და მოვიგერიეთ. სამხედრო პირების მიხედვით ჰინდენბურგის [illegible] დასავლეთ ასპარეზზე [illegible].

[illegible]

გერმანეთის მთავარსარდლის ბინა იტყობინება, რომ სომაზე კვლავ გამაგებული ბრძოლაა. გერმანელები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ ფრანგებს და თხრილებს მხოლოდ მაშინ უთმობენ მოპირდაპირეს, როდესაც მათ მიწასთან ასწორებენ. კლერი დღეს ფრანგთა ხელშია.

როგორც „ბერლინ. ტიდენდე“-ს ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინებს, გერმანეთის პრესა აღნიშნავს ფრანგთა წინ წაწევას სომის ჩრდილოეთით. მკაცრი ბრძოლის შემდეგ ფრანგებმა მტრის მესამე წყების თხრილებს მიაღწიეს და ზოგ ადგილას მეორე ხაზის სიმაგრეებშიც შეიჭრნენ.

## უკანასკნელი დეპეშები

**ეკონომისტ ბალოდის გამოკვლევით გერმანელებს დაპყრობილ ქვეყნებიდან საკვები მასალა გამოუტანიათ: 400 მილიონი კილოგრამი ხორცი, 660 მილიონი კილოგრამი კართოფილი, 700 მილიონი კილოგრამი ხორბალი და 50 მილიონი კილოგრამი ერბო.**

—

**რუმინეთის გამოსვლის შემდეგ ამსტერდამში ხმა გავრცელდა, რომ ჰოლანდიაც ომში ჩაერევაო.**

—

**„რუს. სლოვოს“ ატყობინებენ: რუსეთის და იტალიის მისიას საბერძნეთის ჯარისკაცები იცავენ: ინგლისისამ დაცვაზე უარი განაცხადა. გერმანოფილების კავშირი მანიფესტაციას ახდენენ. მანიფესტანტები იარაღით ხელში ქუჩა-ქუჩა დაიარებიან და პოლიციის მოვალეობას ასრულებენ. საფრანგეთის საელჩოზე თავდასხმა ამ რეზერვისტ-კავშირისაგან ყოფილა მოწყობილი. ათინის დემონსტრაციამ პარიზში დიდი აღშფოთება გამოიწვია. სანდო პირები ამბობენ, რომ საბერძნეთი გერმანეთის აგენტებმა ჩაიგდეს ხელში და გაახალახავესო.**

—

**სატახტო გაზეთების ცნობით ჩინეთსა და იაპონიას შორის უთანხმოება ხდება. ამას წინად ჩინელებსა და მონგოლებს შეტაკება მოუხდათ. იაპონია ჩაერია და შეტაკება ვითომც შეაჩერა, და სიტყვა ჩამოართვა ჩინეთის რაზმების უფროსს, რომ უკან დახეულ მონგოლებს თავს დაანებებდნენ, მაგრამ ჩინეთმა დაპირებული სიტყვა არ შეასრულა, ჩინელები დაეწივნენ მონგოლებს სიხეკოიასთან და ჟლეტა დაუწყეს. აქვე იდ-**

## მიწის უფლებისათვის ბრძოლა გურიაში *)

### თავი IV

**აგრარული პროგრამები. ოცნება და სინამდვილე. სოციალიზმი და კერძო საკუთრება. გურიის დასელობა და ქართული საზოგადოებრივი აზროვნება.**

ჩვენ არ ვიტყვით, რომ გურიაში საზოგადოებრივი ალღო განვითარებული არ იყოს. პირიქით, უკანასკნელი 10—12 წლის ცხოვრების მაგალითები იმას მოწმობენ, რომ აქ საზოგადოებრივმა ცხოვრებამ მეტად ნათლად და ფართედ გაშალა ფრთები. მიწის უფლებისათვის საარაკო ბრძოლამ სწორედ საზოგადოებრივი შეგნების დამადასტურებელი გარემოება შექმნა გურიაში, მაგრამ ასეთი შეგნება გამომდინარეობდა არა თანდაყოლილ ბუნებრივ თვისებებიდან, ან კიდევ ისტორიულად შექმნილი და შემდეგ განმტკიცებული ხელსაყრელი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმები კი არ უწყობდნენ მას ხელს, არამედ ცალ-ცალკე უმწეოდ წარმოებულ „არსებობისათვის ბრძოლამ“ ჩააბა ისინი საერთო ჭაპანში. დამოუკიდებელ ცხოვრების ფარგლებში თანამედროვე რთულ სოციალ ურთიერთობის დროს თავის მომწყვდევა და საზოგადოების არ ცნობა შეუძლებელია. ეს კარგად ესმის გურულს და აკი ამიტომაა, რომ აარსებს საკრედიტო ამხანაგობებს, კოოპერატიულ სავაჭროებს, სკოლებს, ქ[illegible]ენონებს და სხვას... ზემოხსენებულ დაწესებულებათა შორის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის ერთ-[illegible]რი ფორმა, ყურადღების ღირსია სუხს[illegible]ტრებით კოოპერატიული სა-[illegible]ზედ არ[illegible] საზოგადოებრივობის არა მოვშორდ[illegible]ომხატველია სკოლები. აქ — ერთ[illegible] პირდაპირ ანგარიშიანო- შეიყურებია[illegible] უცქერის მათ და მოს ქართველ მოითხოვს ისეთ ცოდნათა გამოტანას სკოლიდან, რომელიც მას შემდეგ პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოადგება. ემპირისტი გურული აქაც არ ღალატობს თავის ბუნებას. მაგრამ განსაკუთრებით დამახასიათებელია გურულის ანგარიშიანობისთვის ის დავასაჩივრები, რომლებითაც აგრე სავსეა ადგილობრივი სოფლის სამართველოები და სამაზრო მომრიგებელი სასამართლო. გურულს სწამს უზენაესი სამართლის მნიშვნელობა, ის არ კმაყოფილდება ადგილობრივ სოფლის მოსამართლეთა განაჩენით და ამიტომ „არზით“ მიემართება „ზევით“, უმაღლესი სამართლის საძიებლად. რა ვუყოთ, რომ აქ ბიუროკრატიული განსჯის ატმოსფერაში საწყალ გლეხს მთელი კვირაობითაც უხდება ამაო ლოდინი, ის მაინც დარწმუნებულია, რომ სადაც არის სიმართლე გასჭრის, და თუ მართლმსაჯულების ღმერთი ფემიდა მაინც გასწყრა, მაშინ უნდა უყუროთ —მომჩივანი როგორ სასოწარკვეთილი და გრძნობა-არეული ბრუნდება სოფელში ბედის მომდურავი და გამჩენის წესთა მგმობელი. საგულისხმიეროა, რომ მოძრაობის შემდეგ დავასაჩივრები სასამართლოებში არამც თუ შემცირდა, არამედ ერთი-ორად გამრავლდა და იმატა. სამოქალაქო ბრძოლის შემდეგ დავა-საჩივრების გამრავლება მეტად სიმპტომატიურია და ერთხელ კიდევ ჰმოწმობს იმ არა საცილობელ აზრს, რომ გურიის ცნობილი მოძრაობა უაღრესად მიწის საკითხის გარშემო ტრიალებდა და სარჩულად ედო მიწის საკუთრების შევსება-გაფართოვება. სოციალიზმის ქადაგება მხოლოდ ცნობილი მიმართულების ინტელიგენციის პირადი შემოქმედებისა და აღფრთოვანების საქმეა. ობიექტიური პირობები, აგრეთვე გურულის განსაკუთრებული სიყვარული სასოფლო კერძო საკუთრებისადმი, სოციალიზმის ქადაგებას გაუგებრად ხდიდნენ და თუ, მიუხედავად ამისა, ათასობით ემხრობოდა გლეხობა დასელთა ქადაგებას, ეს მხოლოდ და მხოლოდ მიწის სივიწროვით და საერთო უუფლებობით აიხსნება. ამ ორმა გარემოებამ: **მიწის სივიწროვემ და დასელთა აქტიურმა მოქმედებამა და იდეალისტურმა აღფრთოვანებამ** წარმოშვეს მეტად უცნაური მოვლენა—**უაღრესად მესაკუთრე გურულთა სოციალიზმით გატაცება.** გურია კლასიკურ კუთხედ მიაჩნდათ, სადაც დასელებს შეუდავებლად შეეძლოთ ცხოვრების მოვლენანი თავის პარტიულ კარნახისათვის დაემორჩილებინათ. ბევრნი ამ გარემოებაში ხედავენ გურულთა ფანატიკოსობასა და განსაზღვრულობას. ჩვენ კი ვერ დავეთანხმებით მათ. მართალია, გურული და საერთოდ იმერი სწრაფ შემთვისებელი და გადმომღები ყოველივე ახლისა და მოსაწონისა, მაგრამ ამავე თვისებაში სძევს შესაძლებლობა ერთი აზრის ფანატიკურად შეთვისების შემდეგ მეორის გაგებისა და შემცნობისა. ამ მხრით საყურადღებო ნაბიჯი არ გადადგმულა ჯერ გურიაში და ამიტომ ჩვენ ბუნებრივად ვსთვლით, რომ იქ დასელები სრულიად სამართლიანად ბატონობენ. ერთი კია, რომ სოციალიზმის ქადაგება ეხლა იქ უკანა რიგზეა დაყენებული, რადგან გურულის ბუნებასა და საერთო მიდრეკილებას ამ მოძღვრების კრიტიკულად განხილვამ მრავალი შეუსაბამობა და უცნაურობა დაუყენა თვალწინ. კრიტიკულად განსჯის შემდეგ ბუნებრივმა გამოფხიზლებამ წარმოშვა გურულთა შორის შესაფერი მოძრაობაც, რომელსაც ჩვენ შემდეგ შევეხებით, ხოლო აქ ისევ უნდა დავუბრუნდეთ სოციალიზმის მქადაგებელთა კულტურულ მისიას გურიაში და ამ მისიის შემსრულებელთა ღვაწლსა და დამსახურებას ქართული აზროვნების განვითარების ისტორიაში.

საგულისხმო და თან დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ქართველმა დასელებმა პირველი საჯარო გამოსვლა 1894 წელს აღნიშნეს ჩოხათის ერთ მივარდნილ სოფელში, სადაც იმ დროს ასაფლავებდნენ „ჩაგრულთა და ტვირთმძიმეთა“ მოამაგეს ეგ. ნინოშვილს. „პარტიული დეკლარაცია, ამ სასაფლაოზე წაკითხული, მებრძოლთა უდიდესი აქტი იყო თავიანთ არსებობის დადასტურებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომქმედ აქტიურ ჯგუფად შესვლის სურვილისა“.*) აქედან აქეთ-იქით გაფანტული ჯგუფები თუ კერძო პირნი შეუდგნენ მოქმედებას, რათა შემდეგ ალთქმის პირნათლად შესრულებისა მოსულიყვნენ და დაფნით შეემკოთ უკვდავი მებრძოლის ობოლი სამარე. ნინოშვილის ნიჭის პატივისმცემელნი მხურვალედ შეუდგნენ მუშაობას, მრავალი დაბრკოლება გადალახეს, განვლეს ეკლიანი გზა უთანასწორო ბრძოლისა. მოხდა მოულოდნელი და რაღაც იშვიათი ჩვენს ცხოვრებაში, ინტელიგენცია ხალხოსნურ აზრებს ეზიარა, ინტელიგენტმა მიატოვა ქალაქი და იწყო „სოფლად სიარული“. რაც რუსეთში 70 წლებში ხდებოდა, ჩვენში 90 წლებში ძლივსღა ვეღირსეთ. ინტელიგენციასაც, რომ გვერდი აუქციოთ, ჩვენს განცვიფრებას საზღვარი არ ექნებოდა, რომ შესაძლებელი იყოს და ჩამოვთვალოთ იმ პრაქტიკულ მოღვაწეთა სახელები, რომლების მუშაობამ უმთავრესად შეჰქმნა გურულთა მწყობრი და შეგნებული ბრძოლა სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ წყობათა შესაცვლელად. ასეთი პირნი, უმთავრესად უსწავლელი გლეხები, ხშირად პოლიტიკურ საკითხებში მეტ უნარიანობასა და გაწვრთნილებას იჩენდნენ, ვინემ საშვალო შეგნებისა და განათლების ინტელიგენტი. ესენი იყვნენ ან ბათომის ქარხნის ყოფილი მოწინავე მუშები, ან კიდევ ადგილობრივი გლეხები, რომლებიც ძველად იმით იყვნენ ცნობილნი, რომ მამასახლისად ამოირჩევდნენ, ან კიდევ ნადიმ-ლხინში თამადობას შესთავაზებდნენ, ასეთ მოწინავე პირთა საიმედო ჯგუფების გაჩენა სოფლებში მეტად ხელსაყრელი იყო საერთოდ სოციალ-პოლიტიკურ აგიტაციისათვის, რადგან ინტელიგენტ მოღვაწეებს შეძლება ეძლეოდა სხვაგან წასულიყვნენ და იქ გადაეტანათ სამოღვაწეო სარბიელი. ცნობილია, რომ დასელურ ინტელიგენციას საქართველოში უმთავრესად გურულები შეადგენენ. ვერ შეხვდებით ვერც ერთ პარტიულ დაწესებულებას, რომ შიგ გურული დასელის ხელი არ ერიოს. ჩვენ სახეში არა გვაქვს ამით აღვძრათ ვინმეს შური ან გაბოროტება, მაგრამ სიმართლეს კი ვერ დავმალავთ. შესაძლებელია „ქართველის“ შვილები დღეს არ ეთანხმებოდნენ დასელთა მოღვაწეობას, რომლის სათავე გურიის მთრეულ მიდამოებიდან მომდინარეობს, მაგრამ მშრომელი გლეხკაცობისა და მუშათა წრეებში თვითცნობიერებისა და ორგანიზაციულ მიზან-შეწონილობით მუშაობის განმტკიცება უაღრესად დასელების საქმეა და ამას კი მცირედი მნიშვნელობა არ აქვს ერის ორგანიზმის მთლიან უზრუნველ ცხოვრებისათვის. იმ ერს, რომელსაც შეუგნებელი და გონება გაუწვრთნელი მასსა ჰყავს, მომავალიც ნაკლებად უღიმის და სწყალობს. ასეთი ერი ყოველთვის მოსალოდნელია ყალბ ავანტიურაში ჩაებას, როგორც ეს ჩვენს მეზობლებს მოუვიდათ, და რამაც აშკარად ცხად ჰყო დიადი მნიშვნელობა შეგნებულ და თვითცნობიერ მშრომელ მასის ყოლისა. ამ მხრით დასელებმა მეტად დიდი სამსახური გაუწიეს ქართველ ერს, მაგრამ მეორე მხრით არც ის გვავიწყდება, რომ იყო დრო, როცა დასელები ძრიელ შორს იდგნენ ქართულ ეროვნულ ორგანიზმისაგან, არ ეკარებოდნენ მას, გამარჯვებულთა პსიხოლოგიას დაეუფლნა ისინი. დღეს კი ასეთ შეცდომათა გამოსწორების დრო უკვე დადგა და მოსალოდნელია ამ განწმენდის ემბაზში დარჩება და დავიწყებას მიეცემა წარსული შური და ღვარძლიანობაც. უცოდველი არავინ არ არის დედამიწაზე. საერთაშორისო სოც.-დემოკრატიაც ვერ ასცდა ამ ხვედრს. ამანაც იგრძნო მრავალ საკითხების ეროვნულ სხეულის დამოუკიდებლად შემცნობის ცალმხრივობა და ცხოვრების ფართედ გაგებასა და შესწავლას შეუდგა. ჩვენშიაც ასეთი პროცესი დაიწყო. ქართველ დასელებს გარეშე ქართველთა პარტიებისა და დაწესებულებათა მუშაობა არ შეუძლიათ. ეს კარგად ესმისთ მათ, დღე ყოველი ამას თანდათან ამტკიცებს, მაგრამ, აკი ვამბობდით, საჭიროა ძველებური ღვარძლისა და შურის მივიწყება და თან ხმამაღლადაც გაკიცხვა და დაგმობა ბრძოლის ასეთ ხერხისა.

ეროვნობა, ეროვნულ დოვლათის შექმნა-განმტკიცება და სოციალი სამართლიანობა, აი რა აწერია საქართველოს მომავლის დროშაზე. ქვეყნის აღორძინება ამ პრინციპების გარეშე შეიძლება მხოლოდ. ეს უნდა უწყოდეს ყოველმა ქართულმა პარტიამ, თუ სურს ქართული ცხოვრებიდან გარიყული არ დარჩეს და მთელი მისი ცხოვრება კატასტროფით არ გათავდეს, მკვდარი ფორმულების უაზღვრო სიყვარულის სანაცვლოდ.

დ. არონიშიძე

(დასასრული მე-IV თავისა)

*) „საქართველო“ № 195.

*) ბ-ნ პ. გელეიშვილის სიტყვები ეგ. ნინოშვილის შესახებ წაკითხულ ლექციიდან. ავტ.

გა იაპონიის რაზმი, რომელმაც მოსთხოვა ჩინელებს სროლა შეაჩერეთო, მაგრამ ჩინელებმა იაპონელებსაც დაუწყეს სროლა, რამაც საქმე უფრო გაამწვავა.

—

ლონდონიდან იტყობინებიან: ინგლისმა ირლანდიის თვითმართველობის საკითხი ექვსი თვით გადაზდოო.

—

საბერძნეთის პოლიტიკური მდგომარეობა წინანდელივით გამოურკვეველია. ჯერ არ იციან საით გადაიხრება. სალონიკის ფრონტიდან ბულგარეთის კარგა ბლომა ჯარი რუმინეთის ასპარეზზე გადაიყვანეს.

—

ამას წინად იტყობინებოდნენ, რომ ათინაში ტრამვაის მუშების გაფიცვა არისო. ეს გაფიცვა მეტის მეტ სიძვირეს გამოუწვევია. გაფიცულებს რკინის გზის და სხვა ქარხნების მუშებიც მიმხრობიან.

—

ცნობილ სამხედრო პირებს აზრით ომი 1917 წელს მარიამობისთვეს დასრულდებაო.

—

გენერალ-ადიუტანტმა ბრუსილოვმა „დეილი ხრონიკელ“-ის წარმომადგენელს განუცხადა, რომ ეს მსოფლიო ომი 1917 წ. მარიამობისთვეს დასრულდება. ამ განცხადებას პრესა დიდ ყურადღებას აქცევს და სხვა და სხვა აზრს გამოსთქვამს.

—

გერმანეთის მთავარ სარდლის ბინას ბულგარეთის მეფე ფერდინანდი ესტუმრა. სამხედრო კრებას, რომელზედაც ვილჰელმი თავჯდომარეობდა, ჰინდენბურგი და ლიუდენდორფი დაესწრნენ. ამ კრებას, როგორც გაზეთები იუწყებიან, დიდი მნიშვნელობა აქვს.

—

„უტრო როსიის“ ცნობით სათათბიროს თავჯდომარე სამიწადმომქმედო ახალ მინისტრს სურსათ-სანოვაგის მიწოდების შესახებ შეჰკითხებია. გრაფ ბობრინსკის უპასუხნია, რომ საჭიროა ახალი სამინისტროს შედგენა, რადგან სამიწადმოქმედო სამინისტროს ძალა არ შესწევს გართულებულ სურსათის საკითხს გაუძლვესო. როძიანკოს შეუნიშნავს: თუ თქვენ არ შეგიძლიანთ ამ საქმეს გაუძლვეთ, ბუნებრივი იქნება თანამდებობას თავი დაანებოთო. გრ. ბობრინსკის უკითხავს: მაგას ისე მიცხადებთ, როგორც სათათბიროს თავჯდომარე, თუ როგორც კერძო პირიო. როძიანკოს უთქვამს: როგორც სათათბიროს თავჯდომარეო.

—

გაზეთი „ვორდენონგანგ“ მოითხოვს რამე ზომები მიიღონ იმ აგენტების წინაალმდეგ, რომელნიც ფინელ ახალგაზრდობას აგროვებენ და გერმანეთში გზავნიან. აგენტები მოუწოდებენ თავისუფალ ფინეთისათვის საბრძოლველად.

# ᲓᲔᲙᲔᲨᲐ

(საკ. კორესპონდენტისაგან).

უწმ. სინოდში ახლად დანიშნული ობერ პროკურორმა სატახტო გაზეთების თანამშრომელებთან საუბრის დროს განაცხადა: დიდს მნიშვნელობას ვაძლევ საქართველოს ეკლესიას, რეფორმა აუცილებლად საჭიროა მოხდესო. ყოველმხრით ვეცდები საქართველოს საეგზარხოსო ავამაღლო და სათანადო საფეხურზე დავაყენოო.

ინგილო.

---

კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებულ იქნება: სურათი „უნუგეშოდ დატოვებული“, „მეომარი“ ნახ. ს.—ერისთავისა, გემის აფეთქება, სურათები ბრძოლის ველიდან და შმერლინგის სამი კარიკატურა კახეთის კავშირზე.

ლექსი „ბანკირი“ ემილ ვერჰარნისა თარგ. შალვა დადიანისა, მოთხრობა: უკანასკნელი გამოთხოვება პატარა გოგისა და „უბედური რუსი“ შალვა დადიანისა.

გაზეთის ფასი დამატებით ორი შაური.

---

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

✦ მიემგზავრება დღეს პეტროგრადს ყოვ. სამღ. ანტონი ეპ. გორისა, რომელიც მიტროპოლიტ პიტირიმის მიერ არის გაწვეული სასულიერო სემინარიის ყოფილ რექტორის არქ. მელქისედეკის კურთხევაზე.

✦ ყოფილი რექტორი სასულიერო სემინარიისა არქ. მელქისედეკი დანიშნულ იქმნა კრონშტადტის ეპისკოპოსად. კურთხევა 8 ენკენისთვესაა დანიშნული.

✦ ბათომის საქველმოქმედო საზ. განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა მთავარ გამგეობამ.

✦ ჟენევის ქართველ სტუდენტების სათვისტომომ მიმართა თხოვნით საქველმოქმ. საზოგადოების გამგეობას მიმართოს ყველა ქართულ რედაქციებს თხოვნით, რომ მიაწოდონ თვისი გამოცემანი.

✦ ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა კრება. მოვაგონებთ მკითხველებს, რომ ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოების დამფუძნებელთა წინასწარი კრება გაიმართება დღეს, შაბათს, საღამოს 8 საათზე, დეპუტატთა საკრებულოში. განხილული იქნება სხვა და სხვა საორგანიზაციო ხასიათის საკითხები.

✦ ატენის მამულის შესახებ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა, ჩაიბაროს ამ მამულის ხილისა და ყურძნის მამულის მოსავალი, ხოლო შემოდგომის სამუშაოზე მსჯელობა იქონიოს.

✦ ხოლერა. 2 ენკენისთვეს ხოლერიანთა რიცხვი საავადმყოფო № 40 უდრიდა 103 სულს, ხოლო საეჭვო 8 სულს.

✦ თავისუფალი ადგილი ორი აგრონომისა და ერთი მებაღისა მსურველთ უნდა მიმართონ ბათომის საქვ. მოქ. საზ. განყოფილებას.

✦ ჟურნ. „მოსავალის“ გამოცემის შესახებ ქართ. სასოფლო სამეურნეო საზ. საბჭომ დაადგინა: ჟურნალის ნახევარი დაეთმოს საკოოპერაციო წერილებს და ამ საქმის წარმოება მიენდოს ბიუროს, რომელშიაც შევლენ წარმომადგენლები, საზოგადოების საბჭოსი, საკოოპერაციო სექცია, მომხმარებელ ამხ. კავშირისა და თუ დაარსდა კავკასიის კოოპერატიულ კავშირიდანაც. მეორე ნაწილს უნდა განაგებდეს აგრონომიული ბიურო, თუ შესდგა, ან ისევ რედაქტორი და საზოგადოების საბჭო.

✦ ქართულ მსახიობებმა მოისმინეს ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების წინადადება, საზოგადოება აძლევს 2500 მან. დახმარებას, კვირაში 2 დღეს უფასოდ უთმობს და მთელ შემოსავალს წარმოდგენებიდან. მსახიობებმა ეს საკითხი ჯერ ვერ გადასწყვიტეს ვიდრე თბ. ქართულ დრამატიულ საზოგადოებიდან პასუხს არ მიიღებს.

✦ ვ. გუნიას გასტროლი. 4 ენკენისთვეს ბათომში დანიშნულია დამსახურებულ მსახიობის ვალ. გუნიას გასტროლი. წარმოდგენილი იქნება „გაზაფხულის ნიაღვარი“, პიესა კოსოროტოვისა.

✦ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობამ დაადგინა ეთხოვოს ქუთაისის განყოფილებას, რომ იმ 60 ათას მანეთიდან, რომელიც მთავრობამ სესხად მისცა სასურსათო საქმის მოსაწყობად, გაუნაწილოს ამავე მიზნით სოხუმის, ფოთის და რაჭალეჩხუმის განყოფილებებს.

✦ რედაქციის კანტორამ მიიღო 30 მანეთი მღ. დიმიტრი უსტიაშვილისაგან დაზარალებულ აჭარელთა გადასაცემად.

— ბ-ნ გერასიმე ივანეს ძე ქავთარაძისაგან 10 მანეთი—ი. ევდოშვილის ოჯახის სასარგებლოდ და 25 მანეთი ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად.

# ᲒᲛᲐᲓᲚᲝᲑᲗ, ᲫᲛᲔᲑᲝ!

**მაჰმადიან ქართველის ამონაკვნესი**

ჩვენი სისხლით მორწყულ ისტორიის ულმობელმა ბედმა გვარგუნა თქვენს ძმებს მრავალი ტანჯვა სამშობლოს თავდადებისთვის და დროებით განვშორდით თქვენს სარწმუნოებას, თუ არსებითს მიმართულებას. ძნელმა დრომ ჩაგვასამარა ბურუსით მოცულ ქაოსში, მოგვწყვიტა მშობელ დედას, ღვიძლ ძმებს, ნათელ მისწრაფებას და არარად გვაქცია. მაგრამ სასტიკმა ცხოვრებამ ვერ მოგკლათ თქვენ, ტკბილო ძმებო, და კვლავ მოსძებნეთ დაკარგული ძმა უარსებობის უფსკრულთან ახლოს ბრმა ბილიკზე მოხეტიალე... დიახ, მოსძებნეთ იგი და დაანახვეთ ყოველივე, მიგვიღეთ და შეგვითვისეთ, ნათესაური გრძნობა გაათბეთ, გააღვივეთ ჩვენს მკერდში, დაგვანახვეთ თუ ვინ ვყოფილვართ, შემოგვაცალეთ გარს შემორტყმული ბნელი ატმოსფერა... დღეს იხარებს ქართლის დედა, რომ შვილები ერთად შეყარა, რომ თვის ოჯახს სიცოცხლის სული კვლავ ჩაუდგა...

ვიხარებთ ჩვენც, თქვენი ძმები, მაჰმადიანი ქართველები კვლავ თქვენთან შეყრას, თქვენთან სუნთქვას, თქვენთან სიცოცხლეს. მართალია, ჯერ სრულიად ვერ შეგვიგნია ჩვენი მოვალეობა, მაგრამ, რა ვქნათ, ეგ გონებრივი სიბნელის და უვიცობის ბრალია. ჩვენ გვყავს ბნელი ხალხი, მაგრამ მაინც ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს“. მალე დადგება დრო, როდესაც ყველანი ერთად მოგეგებებით და ცრემლ-ნარევ ძმურ კოცნასთან ერთად მხურვალედ გეტყვით: „გმადლობთ, ძმებო, გმადლობთ, ძმებო“!

მაჰმადიანი ქართველი
ჰასან ზარამიძე.

# ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ერთი შეხედეთ ამ პატარა, ჩია არსებას
როგორ დაძვრება და თვის ბოლოს გზა და გზა ანთხევს.
არავინ იცის, თუ რაოდენ შხამიანია,
არავინ იცის, თუ რაოდენ შავი აქვს გული
და ამ შავს გულში რაოდენსა ბოროტს ატარებს!
სხვას კი ჰგონია: ის საბრალო ბედს დაუჩაგრავს
და მიტომ დადის შუბლ-შეკრული, თავჩაღუნული,
აწუხებს ზრუნვა საშინაო თუ საგარეო,
ლუკმა პურს ეძებს მშიერ ოჯახს მიუტანოსო!!
ამ დროს ვინ მიჰხვდეს, რომ ხალხისგან შებრალებული
ფიქრობს, თუ სარმა ვის გამოსდოს, ვინ დასცეს დაბლა,
ვის ჩაუშალოს დაწყებული დიადი საქმე,
ან ვინ გაჰყიდოს ასაყვანად სახრჩობელაზე!

შეუმჩნეველი ბოროტება, ერის ბაცილა
ჯანსაღ უჯრედებს ემტერება, დააზიანოს,
გახრწნას ყოველი, როგორც არის თვითონ გახრწნილი
და როს მიაღწევს თავის მიზანს, გულში იცინის,
ბნელის კუთხიდან აღტაცებით თავის მსხვერპლს უმზერს,
მზად არის დასჯილს მივარდეს და სისხლი დალიოს,
მაგრამ თუ ამ დროს შეამჩნიე, სახეს დაიწმენდს
და მოთქმით იტყვის: ამ საბრალოს რას ერჩოდნენო.
თან თვითვე გვამხელს: რა ბოროტი ხალხი სცხოვრობსო!

დადის, დაძვრება ეს ბოროტი და გაიძვერა!
ვერსის მანძილზე სალამს მოგცემს და გაგიღიმებს,
მოიკუნტება, მოვა ახლოს საბრალო სახით,
ქება-დიდებით მოგიხსენებს, ცამდის აგიყვანს,
რომ შემდეგ, როცა გაგცილდება, მთლად ამოგთხაროს
და თავის ბოლმის შავი წუმპე თავს გადმოგასხას!!
დადის და ენას ასისინებს მწირი არსება!
დადის და ჩვენში სათნო კაცის სახელს ატარებს!
სახლში იღებენ, გამარჯობას ეუბნებიან!
თვით კი ჩვენ ყველას დაგვცინის და მასხარად გვიგდებს
შეუმჩნეველი ბოროტება—ერის ბაცილა!
დადის, დაძვრება, მუდამ ხალხში ჯოხს ატრიალებს,
და იქ შეგხვდება, სადაც კი არ მოელოდები!
არ არის კაცი, რომ მისდამი ზიზღს არა ჰგრძნობდეს!
საკმარისია გაიხსენო,—წყევლა ამოგხდეს!
მითხარ, ვინ არის ეს ბოროტი და გაიძვერა?

გარდანქეშან.

# ᲜᲝᲑᲐᲗᲘ

**რაბინდრანათ ტაგორიდან**

## ᲜᲐᲛᲒᲐᲚᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲔ

**მეზღვაური.**

რაიჯუნის ნავთსადგურში სდგას მეზღვაურ მადხუს გემი.

დიდიხანია უქმადა სდგას კანაფით დატვირთული. ის საჭეს გავაჩენდი თვალის დახამხამებაზე და ხუთ, ექვს ან შვიდ აფრას ავუშვებდი ჩემთვის რომ ეჩუქებინათ ის გემი.

და არაოდეს არ ვესტუმრებოდი სულელურ სავაჭროთ. შვიდ ზღვას და ზღაპრულ ქვეყნის ცამეტ მდინარეს გავცურავდი.

დედა, შენ არც დამიტირებ და არც მიმგლოვებ.

მე ხომ რამაჩანდროვით ტყეში არ ვიპარები, რომ თოთხმეტი წლის შემდეგ დავბრუნდე!

ზღაპრული ბატონიშვილი შევიქნები და ჩემი სურვილისამებრ დავტვირთავ გემს.

ჩემ მეგობარ აშუს წავიყვან თან.

და სიხარულით გავემართებით შვიდ ზღვისა და ზღაპრული მხარის ცამეტი მდინარისკენ.

განთიადთან ერთად ავუშვებთ აფრას.

და შენ რომ ბანაობას იწყებ რუში შუადღეზე, ჩვენ უკვე უცხო ხელმწიფის სამეფოში ვიქნებით.

ტირპურნის ყურეს გავსცურავთ და დიდზე დავშორდებით ტეპანტარას უდაბნოს.

დაბრუნებისას უკვე ებნელება და დაწვრილებით გიამბობ თვალით ნანახსა და ყურით გაგონილს.

შვიდ ზღვას და ზღაპრული მხარის ცამეტ მდინარეს გავცურავ მე.

**მეორე ნაპირი.**

იქით, მდინარის მეორე ნაპირს მინდა გავცურო. სადაც ლერწმის მარგილებზე უამრავი ნავებია გამობმული;

სადაც ყოველ დილაობით თოხით მხარზე გასცურავენ ადამიანნი და ყანებს მარგლიან;

სადაც ცხვარნი ბლავილით გადაჰყავთ მწყემსებს საძოვრად;

საიდანაც ყოველ საღამოს ბრუნდებიან და მთელი ღამეობით აფთარნიდა ღმუიან უდაბნო კუნძულზე.

დედა, თუ ნებას დამრთავ, მებორნეთ დავდგები დიდობისას.

ამბობენ, რომ უცნაური ტბებია იმ მაღალ კლდეს იქითო.

სად ურიცხვი იხვი მოფრინდება თურმე ნაწვიმარზე, სადაც მაღალი ლერწამი იზრდება და ამ ლერწმებში კვერცხსა სდებენ ზღვის ფრინველნი;

სად რბილ თიხაზე კვალსა სტოვებენ გაშლილი კუდით მოსეირნე ლაინნი;

სად მთვარის შუქს იწვევენ ზვირთებთან სათამაშოთ თეთრი ყვავილით დამშვენებული მაღალი ყვავილნარნი.

დედა, თუ ნებას დამრთავ, მებორნეთ დავდგები დიდობისას!

მთელ დღეს ერთი ნაპირიდან—მეორეზე გადასვლას მოვანდომებ და სოფლის მობანავე გოგო-ბიჭები მე შემომნატრიან.

და, როდესაც შუა წერტილს მიაღწევს მზე და შუადღით შეიცვლება დილა, მოვალ შენთან და გეტყვი: „დედილო, მშია!“

და, როდესაც დღეს საღამო შესცვლის და შავი ლანდები გამოჩნდებიან ხეებ ქვეშ,—შებინდებისას დავბრუნდები შენთან.

მამასავით, არასოდეს არ წავალ ქალაქს სამუშაოდ—არ მოგშორდები.

დედა, თუ ნებას დამრთავ, მებორნეთ დავდგები დიდობისას.

**ყვავილთა სკოლა.**

როდესაც განრისხებული ღრუბელნი გრგვინავენ და თიბათვის კოკისპირული წვიმა ასხამს, ველზე აღმოსავლეთის ნოტიო ქარი დაქვითინებს და ჰქმნის ასისინებს ლერწამთა შორის, საიდანღაც გაჩნდება იმ დროს ყვავილთა გუნდი და ხავერდოვან მწვანეზე სიხარულით აღსავსე ცეკვას უვლიან.

დედილო, არ ვიცი სად და, მგონია ყველა ყვავილნი სადღაც ქვესკნელის სკოლაში დაიარებიან. დახურულ კარებში სწავლობენ გაკვეთილებს და თუ უდროოდ მოინდომებ კარში გამოსვლა და თამაში, კუთხეში აყენებს მათ მასწავლებელი. წვიმა წამოვა თუ არა და მათი არდადეგებიც იწყება.

საშინელი ხმაურობით აწყდებიან ერთი-მეორეს ტყეში ნაზარდი ხეები, ფოთლები აშარიშურდებიან; განრისხებული ღრუბელნი ტაშს უკვრენ და ბავშვი-ყვავილნი ვარდისფერ, თეთრ და ყვითელ სამოსში გამოწყობილნი ამოხტებიან ზესკნელს.

იცი, დედილო, ცაში, ვარსკვლავებთანაა მათი სავანე.

ნუ თუ არ შეგიმჩნევია, როგორ მიისწრაფიან ზეცისკენ? ნუ თუ არ იცი, რათ მიეშურებიან ისე ვარსკვლავებისკენ?

მე, რასაკვირველია, გონებით მივხვდები, თუ ვის უწვდიან ხელებს: როგორც მე, იმათაცა ჰყავთ მშობელი დედა.

**სოვდაგარი.**

წარმოიდგინე, დედა, ვითომ მე უცხო ქვეყნებში დავიწყე მოგზაურობა და შენ კი შინ დარჩი მარტოდ-მარტო.

წარმოიდგინე, ვითომ პირთამდე დატვირთული ჩემი ხომალდი სდგას ნავთსადგურში.

სანამ გადასწყვეტდე, კარგად დაფიქრდი, თუ რა უნდა მოგიტანო საჩუქრად!

დედა, იქნება ბევრი, ძლიერ ბევრი ოქრო გინდა?

იქ, ოქროს მდინარეთა ნაპირებზე, თვალუწვდენი ოქროს ყანებია.

ტყის ბილიკზე კი ოქროს ჩამპაკი (ყვავილი) ცვივა.

ას კალათს ავავსებ და მოგიტან, დედა!

დედა, იქნება შემოდგომის წვიმის სიმსხო მარგალიტი გინდა?

მივალ მარგალიტის კუნძულზე.

ამომავალ მზის სხივებთან ერთად იქ მარგალიტნი ირხევიან მინდვრის ყვავილზე, მარგალიტი ცვივა ხავერდოვან მწვანეზე, მარგალიტს მიმოაფრქვევს ზღვის ნაპირს ტალღათა თამაში.

ფრთიან რაშებს მოვუყვან ჩემ ძმას და იფრინოს ღრუბელთ შორის.

მამას ჯადოსნურ კალამს მიუძღვნი, რომელიც ისე სწერს თავისით, რომ დამწერი ვერ შეამჩნევს წერას.

შენ კი, დედილო, ძვირფასი თვალმარგალიტით სავსე კოლოფს მოგიტან, რომელიც შვიდ სახელმწიფოთ და მათ მფლობელად ეღირება.

**თანაგრძნობა.**

დედილო, საყვარელო დედა, შენ ბიჭიკოს ნაცვლად პაწია ლეკვი რო ვყოფილიყავ და რისამე მოტაცება მომენდომებინა შენი კერძიდან, უარს მეტყოდი?

გამაგდებდი:

„დაიღუპე, აქედან, წუწკო ლეკვო?“

თუ ასეა, დამანებე თავი, დედა, თავი დამანებე. აღარასოდეს არ გავიგონებ შენსას, არც დაძახებაზე მოგიახლოვდები და არასოდეს არ მოგცემ ნებას მაჭამო რამე შენი ხელით.

დედილო, საყვარელო დედა, შენ ბიჭიკოს ნაცვლად პატარა მწვანე თუთიყუში რომ ვყოფილიყავ, ჯაჭვით დამაბამდი, რომ არ გავქცეულიყავ? თითის ქნევით დამემუქრებოდი და მეტყოდი: „რა უმადური ფრინველია! ჯაჭვსა სწიწკნის მთელი დღეობით და აჟანგიანებს“.

თუ ასეა, დამანებე თავი, დედა, თავი დამანებე. ტყეში გავიპრები და არასოდეს არ მოგცემ ჩემი მოფერების ნებას.

**მოწოდება.**

ვიწრო ქუჩით სკოლისკენ მივეშურები ათს რო დარეკავს ხოლმე საათი.

და ყოველდღე ერთი მყვირალა დამტარებელი მხვდება გზაში:

— დასტანაგი, ბროლის დასტანაგი!

ვერაფერი ვერ ააჩქარებს, არ არსებობს მისთვის სავალდებულო გზა, არა აქვს მიჩენილი ადგილი, სითაც უნდა მიეშურებოდეს, არც განსაზღვრული დრო, როდის უნდა ბრუნდებოდეს სახლში.

რომ იცოდე, როგორა მსურს მეც დამტარებელი ვიყო, სირბილში ვატარებდე ჩემ დღეთ და გავკიოდე:

— დასტანაგი, ბროლის დასტანაგი!

როდესაც საღამოს ოთხ საათზე სკოლიდან ვბრუნდები,

აი იმ დიდი სასახლის კარებთან მებაღეს ვხვდები ყოველთვის—მიწასა ბარავს.

თავისი სურვილისამებრ: ბარავს, მტვერში ისვრება თავით-ფეხამდი და ვერავინ უბედავს გაწყრომას, როდესაც მზე მოეკიდება სახეზე ან შხაპუნა წვიმა უვლის ძვლებამდე.

ოოჰ, როგორ მინდა—მეც მებაღე ვიყო. მთელ დღეს მიწას ვბარავ ბაღში და ვერავინ დამიშლის. შეღამდება თუ არა, დასაძინებლად მისტუმრებს დედა.

და ჩემი ოთახის ღია სარკმლიდან ქუჩაში მოსიარულე ღამის დარაჯს ვაჩნევ.

ბნელია და მიყუჩებული ჩვენი ქუჩა, გოლიათივითა სდგას ქუჩის სანთური, რომელსაც მხოლოდ ერთი წითელი თვალი შერჩენია შუბლზე.

ჰრაქით ხელში დაიარება დარაჯი, მეც ისე ვივლიდი მთელ ღამეს და აქეთ-იქით მიმოვფანტავდი ლანდებს.

**უფროსი.**

დედა, რა ჩერჩეტია შენი პაწია-გოგონა! ისეთი სულელური თამაშით ერთობა!

ქუჩის ჩირაღი და ვარსკვლავები ერთი და იგივე ჰგონია.

როდესაც ზღვის კენჭებისაგან „სადილობანას“ ვთამაშობთ, კენჭები მართლა საჭმელი ჰგონია და პირისკენ მიაქანებს.

როდესაც წიგნს [illegible] ანბანის სწავლას, ვერჩევ... [illegible] ლებსა ხევს ძა..., ვერ [illegible] რად, სიხარულით აქცევს ყველაფერს.

აი როგორ სწავლობს გაკვეთილებს შენი პაწია-გოგონა!

როდესაც ვემუქრები თითის ქნევით და ვუწყრები, ვლანძღავ და საძაგელს ვუწოდებ, ასეთი ანბავი მას ახარებს და იცინის.

ყველამ კარგად ვიცით, რომ მამა ქალაქს წავიდა, მაგრამ საკმარისია ხმა-მაღლა დავიძახო:

—„მამილო“,—ის მაშინვე აღელვებული აქეთ-იქით აცეცებს თვალებს და მართლაც ჰგონია, რომ სადმე ახლოსაა მამა.

როდესაც სარეცხის წასაღებად ვირებს მირეკავს ხოლმე ჩვენი მესარეცხე, მე ზედ მოვახტები და აღმა-დაღმა დავაჭენებ და მინდა დავარწმუნო, რომ მისი მასწავლებელი ვარ, არ ვიცი, რა მიზეზით, ყიჟინას მორთავს და დედეს მოუწოდებს.

შენმა გოგონამ მთვარის დაჭერა მოისურვა.

რა სასაცილო რამ არის! რაც ძალი და ღონე შესწევს, გაჰკივის:—ჰანეშ, ჰანეშ *).

დედა, რა სულელია შენი პაწიაგოგონა! ისეთი სულელური თამაშით ერთობა!

გ. მუმლაძე.

# ᲧᲐᲩᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲔᲨᲘ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

ამ აუტანელ მდგომარეობის დროს, სოფლად ცხოვრება ძლიერ გაჭირდა. სოფელი ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში არასოდეს არ ყოფილა. მცხოვრებლებს ყოველი შემოსავლის წყარო დაეხურათ. დღის-დღეობით ოჯახები ქალების ამარა არიან დარჩენილნი. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ქალები თოხნას არ იყვნენ მიჩვეულნი, მაგრამ გაჭირვებამ ისიც დაანახვა.

დღეს არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ უმამაკაცოდ დარჩენილ ოჯახებს დახმარება სჭირია, მაგრამ ამის მაგივრად პირში ლუკმას აცლიან. ყაჩაღთა თარეშმა სოფლად ფეხი მოიკიდა და თუ წინათ მხოლოდ სოფლებში თარეშობდნენ დღეს დაბა-ქალაქებსაც არ ერიდებიან. ყაჩაღთა თარეშმა იმ წერტილამდის მიაღწია, რომ 50 კაპ. კაცს კლავენ. დიდი სიფრთხილე სჭირია კაცს, რომ ამ ავაზაკებისაგან თავი დააღწიოს.

ამ რამდენიმე დღის წინად სოფელ საწულუკიძეოს მცხოვრებს ფირან ჯალაღანიას ღამით თავს დაესხა ვიღაც უცნობი, ესროლა რევოლვერი მძინარეს და მოჰკლა. როგორც გამოირკვა, მას ორიოდე გროში ჰქონია ხილში მონაგები.

სამეგრელოდან წავიდენ რამოდენიმე მეურმეები ახალ-ქალაქში ყავრის გასაყიდად. გაყიდვის შემდეგ შინ დაბრუნებულთ დაბა ხონის ბოლოს, ივანიძის მინდვრებზე მათ დახდომიათ ყაჩაღები. მეურმეებს წინააღმდეგობა გაუწევიათ და ამის გამო ერთი მეურმე დაუჭრიათ. დაჭრილი ხონში ჩამოიყვანეს საექიმოდ. ასეთი მაგალითები სოფლად ძლიერ ბევრია. ადგილობრივი ადმინისტრაცია ვერაფერს ახერხებს.

ისარი.

# ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲓᲐᲜ

დღევანდელმა უმაგალითო ხანამ მეტად სასტიკ და წარმოუდგენელ მდგომარეობაში ჩააყენა ქართლელები.

მრავალი სხვა და სხვა მიზეზების გამო ნივთიერად დაზარალდა ქართლი; თუმც შესაძლოა ნივთიერ დაზარალებას კულტურული, გონებრივი და ზნეობრივი წარმატება მოჰყვეს. აქაური ხალხი საშინელ ტანჯვა-წამებას განიცდის: უმოსავლობისაგან, ზღაპრულ სიძვირისაგან და მუშა ხელის სიძვირის გამო და სხვა. მუშა ხელის სიძვირემ რომ სოფლად თავი იჩინა, უმაღლეს წერტილს რომ მიაღწია, ამის უტყუარი საბუთი, ფაქტი გახლავთ ის, რომ მარიამობისთვის შუა რიცხვებში ს. რუისში მობრძანდა მიწის მზომელი ვინმე მ—ი მამულების გასამიჯნავათ. მაგრამ, როცა გაიგო, რომ სოფელს არ შეუძლიან მუშა ხელის მიწოდება, მიწის მზომელი იძულებული გახდა ოქმი შეედგინა და უკან დაბრუნებულიყო.

ქართლელები უმეტესად მისდევენ ხვნა-თესვას და მეხილეობას ქართლში. მეხილეობის დარგი ელვის სისწრაფვით ვ[ი]თარდებოდა და

---

*) ჰანეშ კაცის სახელია და მასთან სპილოს თავიანი ღმერთისაც.

მალე პირველ ხარისხოვან ალაგად გარდაიქცეოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ საერთაშორისო ომმა დიდი გავლენა იქონია ამ დარგის განვითარებაზე და ერთ წერტილზე გაჰყინა. ეს მოვლენა, რასაკვირველია, არა-სასიამოვნოდ და მავნებლად უნდა ჩაითვალოს. წელს ქართლში მოსავალი, როგორც პურის ისე ხილის, საშუალოა. მომავალ წლისთვის მამულები თითქმის დაუმუშავებელი რჩება; ამ მოვლენით კი ქართლს დიდი საფრთხე მოელის. და ან როგორ არ დარჩება მამულები დაუმუშავებელი, როდესაც საქონლის რეკვიზიცია რამდენჯერმე მოხდა ქართლში. ვის არ მოეხსენება, რომ დღეს ორთქლმავლის და ელექტრონის ხანაა, ჩვენ კი ადამის დროის გუთნის და სახნისის საშუალებით ვამუშავებთ ჩვენს მამულებს. ჩვენი მამულების დასამუშავებლად საჭიროა რვა-ცხრა უღელი საქონელი, დღეს კი არც ერთ მეოჯახეს არ მოეპოვება ორ-უღელა საქონელი. აღსანიშნავია უფრო ის, რომ დღეს ჩვენს სოფლებში მამაკაცები სრულიად არ მოიპოვებიან. ჩვენი ახალგაზდა ყმაწვილები საბრძოლველად გაიწვიეს და ამნაირად ჩვენს სოფლებს ბავშვები და დავრდომილი მოხუცებულები-ღა შთენია. ნუ თუ ყოველ მხრივ შევიწროვებულს, სასო მიხდილს სოფლებს დავრდომილ-დასნეულებული მოხუცები და ბავშვები არჩენენ?

რაც შეეხება სიძვირეს, აქაც ზღაპრულია. სოფლის დაუძინებელი მტრები, ჩარჩები, აქაც ბლომად მოიპოვებიან. როგორცა სურთ, ისე ატრიალებენ სოფლის ბედს; მათ უსაზღვრო თარეშს ბოლო არა აქვს. საჭიროა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ასეთ ვაჟბატონებს და ალაგმოს იგინი.

ეს სოფლის დაუძინებელი მტრები-ჩარჩები ყოველ ნაბიჯზე ცდილობენ საზოგადო დაწესებულებას, როგორიც არის მაგალითად შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, კოოპერატივი, ბოლო მოუღონ. ამ ორი წლის წინედ ს. შინდისში არსებობდა მომხმარებელი საზოგადოება; ყველამ კარგად იცის, რომ მისი დანიშნულება სოფლელებისათვის დიდია. მაგრამ ჩარჩების მეცადინეობით მოისპო იგი. დღეს მთელი შინდისის საზოგადოება ჩარჩების ანაბარაა მიტოვებული და როგორცა სურთ ისე ჰყვლეფენ ისედაც გაძვალტყავებულ ხალხს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ს. შინდისის მოწინავე პირები კეთილს ინებებენ ხალხისათვის და მომხმარებელ ამხანაგობის დაარსების საკითხს ამიერიდანვე შეუდგებიან. ს. შინდისშივე არსებობს წ. გ. ს. სამკითხველო, მაგრამ ისიც ღვთის ანაბარად არის მიტოვებული. აღნიშნულ სამკითხველოში საკითხავი წიგნები ძალიან ცოტა მოიპოვება; ჟურნალ-გაზეთებს მოკლებულია, მოსდის ერთად-ერთი გაზეთი „თან. აზრი“ და ისიც ორ კვირაში ერთხელ. ამ ერთი წლის წინად ბ-ნმა ბურჭულაძემ, სკოლების ზედამხედველმა, აღუთქვა—სამკითხველოს წიგნებს გამოვუგზავნიო, მაგრამ ჯერ ერთი წიგნაკიც არ გამოუგზავნია და დაპირება დაპირებად დარჩა.

ქართლელი მანდილოსნები დიდ გამჭრიახობას იჩენენ საზოგადო საქმეებში. ს. მეჯვრისხევის მანდილოსნების მეცადინეობით დაარსდა ს. მეჯვრისხევშივე ქ. გორის მანდილოსნების მაღაზიის განყოფილება, სადაც აცხობენ პურს. საშუალოდ დღეში შემოსავალი უდრის ხუთ-ექვს თუმანს. მათი მიზანია: ჰსურთ შეგროვილ ფულით გახსნან საფეიქრო სკოლა, რაიც დიდ სამსახურს გაუწევს დღევანდელს ჩვენს გაჭირვებულს პროვინციის ხალხს. ყველა ქართველის და სოფ. მეჯვრისხევის მოწინავე პირების ზნეობრივი მოვალეობაა სრული თანაგრძნობა გაუწიოს გულითადად და საქმით მუშაქალებს, ახლად გამოსულთ ასპარეზზე.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კახელი მანდილოსნები დიდის თანაგრძნობით და სიყვარულით შეხვდებიან ქართლელ მანდილოსნების სიმპატიურ გამოსვლას, შეისწავლიან წესდებებს და აქა-იქ ჩვენს კახეთის სოფლებშიაც დაარსებენ საფეიქრო სკოლებს. მით უმეტეს, რომ ის მასალა, რომელიც საფეიქრო სკოლის არსებობისთვის საჭიროა, ჩვენს კახეთში ბლომად მოიპოვება.

მარიამობისთვის გასულ რიცხვებში კიდევ გაიწვიეს სამხედრო სამსახურში პირველ და მეორე ხარისხის მოლაშქრენი და ისედაც დამწლოვიარებული ოჯახები კვლავ ძაძით შეიმოსა.

**ვ. ათანელიშვილი.**

## წერილი სვანეთიდან

დღევანდელ ომით და მოუსავლობით შევიწროებულმა, თავისუფალ სვანეთის ოთხმა საზოგადოებამ მაისის დამლევ რიცხვებში აირჩია დეპუტაცია და გაგზავნა თბილისში ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობასთან, რომ აეხსნათ დაწვრილებით ხსენებულ საზოგადოებისათვის სვანეთის ჭირ-ვარამი და ეთხოვათ ხალხის გაჭირვების შემსუბუქება. პატივცემულმა საზოგადოებამ სვანთა დეპუტაციის თხოვნა დააკმაყოფილა ერთდროულ დახმარებით, ორი ათას მანეთით, რომელიც ამ დღეებში დაურიგა ღარიბ სვანებს საქვ. საზოგადოების რწმუნებულმა, თავად ლევან დადეშქელიანმა, ჯოკია ჩარკვიანმა და სვანთა დეპუტაციის წარმომადგენელმა ამბროსი პირველმა.

დიდი მადლობის და ქების ღირსია ხსენებული საზოგადოება; არც ერთ ქართულ კულტურულ დაწესებულებას ასეთი ნაყოფი არ მოუტანია ჩვენი ხალხისათვის. ამ საზოგადოებამ გიგანტიური ნაბიჯით შემოიარა მთელი საქართველო და ყველგან მოაცხო ხალხის წყლულს მაკურნებელი მალამო. პირველი გულწრფელი თანაგრძნობა და შემწეობა მიიღო სვანეთმაც ამ საზოგადოებისაგან. ყველა ალტაცებით შესთხოვდა რწმუნებულებს, გადაეცათ მხურვალე სალამი და მადლობა პატივცემულ საზოგადოებისათვის და მისს მოთავე და ყველა წევრთათვის.

**გიორგი პირველი.**

## ჩემი პასუხი

დიდი ხანია ქ. თელავში ჩემზედ მითქმა-მოთქმას აწარმოებს რამდენიმე ინტელიგენტი. მე მათ ჭორებს არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ, რადგან არც დრო მაქვს ამისათვის და არც სურვილი, პროვინციულ მეჭორეთა ფერხულს ავყვე. გაზეთებიც ბეჭდენ, მაგრამ რას ვიზამ დროს უქონლობით, უნდა გავჩუმდე, მით უმეტეს, რომ საგნად ავტორებს ჩემი ნერვები და ხასიათის თვისებანი აქვთ აღებული. აქ კი გაჩუმებას ვარჩევ, რადგან ღვთის წყალობით ნერვები ჯერეთ საღადა მაქვს, მხოლოდ რაც შეეხება ჩემს დახასიათებას, ეს მარტოოდენ სიცილს ჰგვრის ყველა ჩემს მახლობელს და თანამშრომელს, რომელნიც მე კარგად მიცნობენ.

23 მარიამობისთვესაც „სახალხო ფურცლის“ 655 და „საქართველოს“ 187 ნომერშიც დაიბეჭდა ჩემდამი შეკითხვა, ხელმოწერილი ხუთი კაცის მიერ. ხუთივე ხელის მომწერნი თელავის შემ.-გამსეს. ამხანაგობის წევრნი არიან, სახელდობრ: ივ. კარბელაშვილი, ალ. ვახვახიშვილი, ექ. ხირსელი, ექ. ავალიშვილი და ლ. ვახვახიშვილი. ამავე დღეს „სახალხო ფურცლის“ მოწინავე წერილიც ჩემდამი შეკითხვას ეხება. მოწინავე წერილში სწერია:

„ბატონ ლუკაშვილს კრება მაინც ნდობას უცხადებს... წერილის ავტორნი ბრძანებენ: ბ-ნმა ლუკაშვილმა მთვრალ ხალხს მოუყარა თავიო. მარტო ამ საშუალებით ლელოს გატანა ძალიან ძნელია. ალბად სხვა რამ სერიოზული საბუთიც უნდა არსებობდეს. მეორეს მხრივ წერილის ავტორნი იმდენად პატივცემულნი პირნი არიან, რომ არა გვგონია ბავშვურად და ფუქსავატად ასეთი მძიმე ბრალდების წამოყენება გაებედნათ.“

ვიდრე მე შემდეგ წერილებში ვილაპარაკებდე იმაზე, თუ რისთვის მიჭერს მხარს და მიცხადებს ნდობას აქაური ინტელიგენციის საქმიანი უმრავლესობა და თითქმის მთელი დანარჩენი ხალხი, ჯერ საჭიროდ და უკეთესად ვთვლი თითონ შეკითხვის ერთ-ერთი ავტორი ცოტა რამ ამაზევე და ჩემ საწინააღმდეგო ჭორიკანობის ამბავზე ვილაპარაკო.

წრეულს რუსეთში გახლდით არხანგელსკიდან შაბიამნის გადმოსატანად. მოველი თუ არა რუსეთიდან ქ. თბილისში, გავიგე რომ ამხანაგობის გარშემო ცუდი ფერხული დაებათ. ფერხული ქართული ტიპისა: ჭორის, შურის და მტრობისა გამო ჩაბმული. ჩემზე ვინ იცის რას არა სჩმახავდნენ და სჭორავდნენ. ამხანაგობა გადაექციათ ბიუროკრატიულ დაწესებულებად. გამგეობასა და მომუშავეთა შორის ხიდი ჩატეხილიყო. ეს უკანასკნელნი იმ უკიდურესობამდე მიეყვანათ რომ გაფიცვაც კი მოეხდინათ. სხვა და სხვა მიზეზით ვბრკოლდებოდი თბილისში და გულის ფანცქალით ველოდი ნამდვილს ცნობას თელავიდან და აი რა წერილი მივიღე ჩემი მოადგილე ბ-ნ ივ. კარბელაშვილისაგან, რომელსაც ახლა პირველს მოუწერია ჩემდამი შეკითხვაზე ხელი. წერილია დაწერილი 11 თიბათვის თარიღით და გამოგზავნილია ჩემდამი თბილისში.

ივანე კარბელაშვილი მწერს:

პატივსაცემო დავით პეტრეს ძევ! აქ, (თელავში დ. ლ.) *) ჩვენს წინააღმდეგ საძაგელ აგიტაციას ეწევიან, ავრცელებენ საშინელს ჭორებს, ვითომ ლუკაშვილმა გაყიდა შაბიამანი, კარბელაშვილმა თბილისში სხვას მისცა შაბიამანიო და ათასი სხვა... ამ აგიტაციას სათავეში უდგანან ჩვენი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე (ალ. ვახვახიშვილი) და სხვა მისი დამქაშნი (დამქაშთა შორის რასაკვირველია შეიძლება იგულისხმებოდნენ შეკითხვის სხვა ავტორნიც. დ. ლ.) თვით ხალხი კი გრძნობს ამ ჭორების სიყალბეს. ჩვენ ზიზღის ღირსად არა ვხდით ამ ჭორებს და ჩვენის სინდისითა და პატიოსნებით ვემსახურებით ამ საქმეს. სარევიზიოდ მოიწვიეს გარეშე პირები: თბილისიდან შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის თავმჯდომარე მელჩარსკი, გიორგი კანდელაკი და გიორგი ხიზანაშვილი. ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა, მაინც არა სცხრებიან. მაინც ვერას გახდებიან. იყავით კარგად და გამარჯვებით. ვანო კარბელაშვილი“.

აი, ბატონებო, ერთი შეკითხვის ავტორი ივ. კარბელაშვილი როგორ ახასიათებს შეკითხვის დანარჩენ ავტორებს, ალ. ვახვახიშვილს და მის დამქაშებს. აქ მათ დახასიათებას მე არაფერს მივუმატებ. კომენტარიები მეტია. მათში თითონ ივ. კარბელაშვილის ფიზიანომიაა მეტად საყურადღებო. ბევრიც შეიძლება ითქვას კარბელაშვილზედ, მაგრამ იმაზედ ლაპარაკიც კი აფსუსია. განა რა მოეთხოვება იმ კაცს, რომელიც გარემოების მიხედვით მგლისა და ცხვრის ქურქს ატარებს; შენთან შენია, სხვასთან სხვისი. განა ლაპარაკი ღირს იმისთანა კაცზე, რომელიც იმ ჭორებს ხელს აწერს, რომელსაც თითონვე ზიზღის ღირსად არა სთვლის. საგულისხმოა ის გარემოება, რომ აქამდე ალ. ვახვახიშვილი და დამქაშნი მისნი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, ახლა კი თავის ნალაპარაკევს გაზეთების ფურცლებზედ ჰფენენ შეკითხვის სახით. შეკითხვა ცხრა მუხლისაგან შესდგება. პასუხსა მთხოვენ. დიდის სიამოვნებით შევუსრულებ თხოვნას. ჩემგან სათანადო პასუხს მალე მიიღებენ, მანამ კი ეს პატარა წერილი მის შესავლად ჩასთვალონ.

**დ. ლუკაშვილი.**

*) ფრჩხილებში შენიშვნები ყველგან ჩემია. დ. ლ.

## დაბა-სოფლები

**ს. შემოქმედი** (გურია). თავი იჩინა ქურდობამ და ავაზაკობამ. ხუთშაბათს, 25 მარიამობისთვეს, ს. გომში (შემოქ. საზოგ.) თავს დაესხნენ მემამულეს, მიკირტიჩ მურადის ძე კურკჩიანცს, რომელიც ჩამოსული იყო აქ ქალაქიდგან თავის მამულის გამო. საღამოს 7 ნახ. ს., როდესაც ის იჯდა სახლის დერეფანში, იქ ამოვიდა ორი ახალგაზდა, რომელთაც მოსთხოვეს ბ-ნ კურკჩიანცს ფული, თუ ვინიცობაა ბ-ნი კურკჩიანცი ფულს არ მისცემდა, ისინი სიკვდილს ემუქრებოდნენ. ბ-ნმა კურკჩიანცმა აუსრულა ბრძანება ავაზაკებს და მისცა 880 მან. ავაზაკები ამას არ დასჯერდნენ და წაართვეს მას საათი, ღირებული 38 მანეთად. ავაზაკები შეიარაღებულნი იყვნენ „ნაგანის“ რევოლვერებით. უცნობნი ჩქარა მიიმალნენ. ადმინისტრაციამ ზომები მიიღო მათ დასაჭერად.

აქ თხილი ეხლა 6 მ. 50 კ.—7 მ. ფასობს.

პირველ დაწყებით ოთხკლასიან სასწავლებლის ნებართვა მოვიდა. სწავლა მომავალ სამოსწავლო წლიდგან დაიწყება (პირველ ენკენისთვეს). დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი ივლიანე გოგიტიძე, რომელმაც საზოგადოებას სცა პატივი და გაემგზავრა თბილისს, სადაც ბევრი იშუამდგომლა სამოსწავლო ოლქის უფროსთან, ჩაფუშული საქმე ხელ-ახლა ფეხზედ წამოაყენა და ნებართვა აიღო.

**ს. ჟუჟუნაპირელი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ეს წერილი დაგვიბეჭდოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „საქართველოში“.

1915-სა და წელს 1916, თავადმა იოსებ თარხნიშვილმა, მოუსავლობისა და ჯარში გაწვევის გამო, გვაპატია ოთხასი თუმანი (4000 მ.) იმ იჯარიდამ, რომელიც უნდა მიგვეცა ამ ორს წელს. ამისათვის, ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი დიდ-ფლევში და ვარდისუბანში მცხოვრებნი, რომელნიც ვსახლობთ და ვსარგებლობთ იოსებ თარხნიშვილის მამულით, ვარდგენთ ამ წერილს საქვეყნოდ, რათა გამოუცხადოთ ჩვენი უღრმესი მადლობა ასეთი გულ-უხვი გალებით საზოგადოების სასარგებლოდ, ვისურვებთ მის დიდხან სიცოცხლეს—ჩვენდა საკეთილოდ. თანახმად ზემოხსენებულისა ხელს ვაწერთ:

ილიკო პაპიაშვილი, არჩილა პაპიაშვილი, პავლე პაპიაშვილი, ბესო პაპიაშვილი, ლექსო პაპიაშვილი, სოლო პაპიაშვილი, ლექსა გოგიტაშვილი, თედო გოგატიშვილი, ანდრო ჯავახი, სოლო ჯავახი, სანდრო წიწვიანიძე, კოტე ხაჩიძე, ტატო ნოზაძე, ვანო ნოზაძე, ანდრო ნოზაძე, დათო ჭელაძე, ილიკო ჭელაძე, ვანო ჭელაძე, ტეფო ჭელაძე, პავლე ჭელაძე, სოლო ჭელაძე, ვანო თამარისშვილი, სანდრო თამარისშვილი, მიტრო თამარისშვილი, პავლე ნოზაძე, გოლა ნოზაძე, გიორგი ნოზაძე, ლადო ნოზაძე, მიხა კუპრაული, თედო კვესაძე, ზურაბა ნოზაძე, არსენ ნოზაძე, ლევანა ცხოვრებაძე, ბიჭია ბარბაქაძე, მაია ბარბაქაძისა. ამა ოცდათხუთმეტი მეკომურის უწერილობისა, ამათის პირის-პირთხოვნით ხელს ვაწერ ნინო ღარიბაშვილისა.

აქ მოხსენებულ ოცდათხუთმეტ მეკომურთა მაგიერ რომ ხელი მოაწერა, ნინო ღარიბაშვილისამ, ამას ვამოწმებთ: დიდი ფლევის მამასახლისის თანაშემწე, სტეფანე გიორგის ძე ჭელაძე და ვარდისუბნის მამასახლისის თანაშემწე მიტრო გიგოლას ძე თამარისშვილი. სტეფანე ჭელაძის და მიტრო თამარაშვილის უწერილობისა გამო, ამათის თხოვნით ხელს ვაწერ

**მარიამ ნოზაძისა**

P. S. გთხოვთ ეს წერილი სხვა გაზეთებმაც გადაბეჭდონ.

—

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ამ პატარა წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში.

„საქართველოს“ 173 ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია წაღვერიდგან ბ-ნ ციმბირელის სახელით. სხვათა შორის კორესპონდენტი მოგვითხრობს შემდეგს:

„შარშან მოაგარაკეთა შორის შეიკრიბა **30 თუმანი**, ამ ფულით უნდა დაექირავებინათ წერილების დამტარებელი... 30 მანეთად დაედგათ ფარნები... ქუჩებში დაეცვათ სისუფთავე, მაგრამ ამის მზგავსი არაფერი მომხდარა. რა იქმნა **დანარჩენი 27 თუმანი**, ეს ალახმა უწყის?“

წელსაც, ანგარიშობს ბ. ციმბირელი, შეგროვდება ამ მიზნისათვის მოაგარაკეთა შორის **უკანასკნელი 50 თუმანიო** და სთხოვს მოაგარაკეთ, მიაქციონ ამ საქმეს ყურადღება და გამოიძიონ რისთვის იკრიბება ეს ფულიო..

ჯერ ეს მიბრძანეთ, ბ ნო ციმბირელო, თუ კი შარშან არც წერილების დამტარებელი დაუქირავებიათ, არც ფარნები დაუდგამთ და არც სხვა რამე გაუკეთებიათ, რაღათ თხოულობთ მხოლოდ **27 თუმნის ანგარიშს** და არა **სრულ 30 თუმნის**?!

თუ კი, ბ. ციმბირელო, ის გაიგეთ, რომ შარშან მოაგარაკეთა შორის შეიკრიბა 30 თუმანი, დარწმუნებული ვარ, არც იმის გაგება გაგიძნელდებოდათ ვინც მოჰკრიბა ეს ფული და ვის ჩაბარდა. ნუთუ ვისიმე გეხათრებათ, ანუ გეშინიათ?!

მოგეხსენებათ, ბ. ციმბირელო, რომ თქვენი კორესპონდენციის წაკითხვის შემდეგ გულ-მოდგინეთ შეუდექი ამ საქმის გამოძიებას, მაგრამ ამ სამი კვირის განმავლობაში ვერ გავიგე დამამტკიცებელი რამ თქვენი განცხადებისა, ამიტომ თუ თქვენ, ბ. ციმბირელო, გულ-წრფელად გსურთ დაიცვათ წაღვერის მოაგარაკეთა ინტერესი, გვიყავით სიკეთე და გაზეთისავე საშუალებით შეგვატყობინეთ ამ ფულის (30 თუმ.) მიმღების ვინაობა.

თუ ამას არ იზამთ, მაშინ ცხადია, უნდა ვაღიაროთ, რომ გაზეთისათვის ყალბი ცნობა მიგიწოდებიათ, რომლითაც მკითხველი საზოგადოება და უმთავრესად წაღვერის მოაგარაკენი შეცდომაში შეგყავთ. მართალია, წელს სააგარაკო კომისიის გადაწყვეტილებით მოაგარაკეთა შორის იკრიბებოდა ფული, მაგრამ დიდი დავიდარაბის შემდეგ შეიკრიბა არა 50 თუმანი, როგორც თქვენ ვარაუდობდით, ბ. ციმბირელო, არამედ 130 მან. 20 კ. ამ ფულიდან 80 მან. წერილების დამტარებელს გადავეცით გასამრჯელო და დანარჩენი 50 მ. 20 კაპ. ბ. ზ. გველესიანის თვალყურის მდებლობით ძველ ფარნების შეკეთებას შეუდექით.

სააგარაკო კომისიის თავმჯდომარე
**მ. მურვანიშვილი**

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
**მატარებლების მიმოსვლა**
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. № 9, | 10.33 | სალ. |
| ბორჯომის | სამგზ. № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. № 4, | 9.28 | სალ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. № 4-3, | 11.13 | სალ. |
| თელავისაკენ | № 4, 7 „ | 58 „ | დილ. |

**ტფილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.38 | სალ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 10.12 | სალ. |
| ბაქოდან | საფ. № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. № 7, | 4.12 | სალ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 8.48 | სალ. |
| თელავიდან | № 3, . 7 „ | 58 „ | სალ. |


## სუსუნატი

ვისაც სურს-გრძნეულ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **ხუსუნატის წამლით** პირველ-ხარისხოვანი **„გონოზანით“**. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

**თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და** ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშუალებაა. საშუალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შუშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 **отд. 3.** მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეფავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

## თუ გსურთ,

**რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,**
**რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,**
**საქმის ქაღალდის დაწერა,**
**თხოვნების შედგენა,**
**საქმის და თხოვნის წარმოება,**
**ცნობების შეკრება,**
**მოსამსახურის შოვნა,**
**საკომისიო მინდობილობა,**
**ბინის გაქირავება,**
**ბინის შოვნა,**
**მამულის ყიდვა,**
**მამულის გასყიდვა,**
**მამულის დაგირავება,**
**მამულის იჯარით გაცემა და სხვ.**

## მიმართეთ
### ცნობის კონტორას
## ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დაღმართი, სახლი მელიქ აზარიანისა № 1

**შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის.**

ყველა საქმეს კონტორა სწრაფად და პირნათლად ასრულებს.

**ხელმისაწვდენ ფასებში**

**მისამართი პროვინციელთათვის:** Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
## კომერციულ ცოდნათა
კურსები
## ტ. მ. ფილოიანისა
**ორივე სქესისთვის**
(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)
თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.
(20—231—6)

## სავაჭრო სახლი
## „ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

**ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო**

**ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია**

## „განათლება“-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. ხურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

## თევზის მრეწველნი
## ძმ. მეზველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ზვიმ**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**ამლ-შონსკ**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა **ხანგრძლივ ინახება.**